სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო

წესდება

წინამდებარე წესდება მიღებულია „სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბიროს" წევრთა საერთო ჯრების მიერ 2009 წლის 15 დეკემბერს. ჯრების თავმჯდომარე: /ნ. გიგიაძე/

1. ზოგადი დებულება

1. „სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო" (შემდგომში სათათბირო) წარმოადგენს რეგიონალურ, ახალგაზრდულ, არაპოლიტიკურ, არასამთავრობო, არასამეწარმეო, ნებაყოფლობით წევრობაზე დაფუძნებულ საზოგადოებრივ გაერთიანებას.
2. სათათბირო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.
3. სათათბიროს ორგანიზაციულ/სამართლებრივი ფორმაა კავშირი.
4. სათათბირო რეგისტრაციის მომენტიდან წარმოადგენს იურიდიულ პირს და გააჩნია იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი ყველა საჭირო ატრიბუტიკა.
5. სათათბირო უფლებამოსილია ფლობდეს განკერძოებულ ქონებას, დადოს ხელშეკრულებები, გარიგებები, კონტრაქტები, გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ სასამართლოში.
6. თავისი მიზნებიდან გამომდინარე, სათათბიროს შეუძლია დააფუძნოს ფილიალები და მოქმედებდეს როგორც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.
7. სათათბიროს მისამართია: 3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის 3

2. სათათბიროს მიზნები

1. სათათბიროს მიზნებია:

- ❖ ახალგაზრდობის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა;
- ❖ სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა, ახალგაზრდობაში სამართალშეგნებისა და სამოქალაქო ცნობიერების დონის ამაღლება;
- ❖ დემოკრატიული მმართველობის/თვითმმართველობის დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობა;
- ❖ სხვადასხვა სახის ახალგაზრდულ, სტუდენტურ ორგანიზაციათა ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა, მათი კონსოლიდაცია საერთო საქმიანობის განსახორციელებლად;
- ❖ ახალგაზრდობის, სტუდენტების საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩაბმის, თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობა;
- ❖ მოხალისეობის პოპულარიზაცია და განვითარების ხელშეწყობა;
- ❖ ახალგაზრდობაში ცოდნისა და სწავლის მნიშვნელობის რეაბილიტაციის ხელშეწყობა;
- ❖ სტუდენტების პროფესიული დაოსტატებისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლების, მათთვის სათანადო ბიბლიოთეკების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ხელშეწყობა;
- ❖ ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდა და დამკვიდრება;
- ❖ ახალგაზრდობაში ინფორმაციული ვაკუუმის შევსება, დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებების ჩამოყალიბება;
- ❖ ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების შესწავლა, მათი გადაჭრის გზების ძიება, ახალგაზრდობის აქტიური ჩაბმა კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტაში;
- ❖ კულტურული ტრადიციებისა და მემკვიდრეობის დაცვა;
- ❖ სხვადასხვა დონის არჩევნების (ადგილობრივი თვითმმართველობის/მმართველობის, საპარლამენტო, საპრეზიდენტო) სამართლიანად და გამჭირვალედ ჩატარების ხელშეწყობა და მონიტორინგის წარმოება.

3. სათათბიროს საქმიანობის ფორმა

1. სათათბირო თავისი მიზნების განსახორციელებლად უფლებამოსილია:

- ✓ ჩაატაროს სემინარები, დისკუსიები, კონფერენციები, პრეზენტაციები, ფესტივალები, კონკურსები, სხვადასხვა სახის აქციები;
- ✓ ორგანიზება გაუკეთოს და წარმართოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის კამპანიები სტუდენტ-ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობით;
- ✓ ითანამშრომლოს სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ კავშირებთან, სახელისუფლებო სტრუქტურებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორებთან;
- ✓ მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ორგანიზაციათა პროგრამებსა და კონკურსებში, გამოვიდეს პროგრამებისა და კონკურსების ინიციატორად;
- ✓ დააფუძნოს მასობრივ-საინფორმაციო საშუალებათა სამსახურები, გამოუშვას სხვადასხვა სახის ბეჭდვითი ლიტერატურა;

- ✓ ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც არ ცვლის სათათბიროს, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის ხასიათს;
- ✓ ეწეოდეს სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის კანონით აკრძალული.

2. სათათბიროს გააჩნია თავისი დამოუკიდებელი საინფორმაციო ბეჭდვითი ორგანო, რომლის პერიოდიკასა და საინფორმაციო დატვირთვას განაგებს სათათბიროს გამგეობის მიერ დანიშნული რედაქტორი.

4. სათათბიროს წევრობა. წევრთა უფლება/მოვალეობები

1. სათათბიროს წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე ან/და უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც იზიარებს სათათბიროს მიზნებსა და წინამდებარე წესდების მოთხოვნებს.
2. სათათბიროს წევრთა საერთო რაოდენობის 2/3-ის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 26 წელს.
3. დაუშვებელია სათათბიროში გაწევრიანებაზე უარის თქმა: სქესის, ეროვნების, სარწმუნოების, სოციალური მდგომარეობის, ეთნიკური კუთვნილებისა და პოლიტიკური შეხედულებების გათვალისწინებით.
4. სათათბიროში პირის გასაწევრიანებლად საჭიროა სათათბიროს გამგეობის წევრის რეკომენდაცია. განცხადება სათათბიროში გაწევრიანების თაობაზე იწერება სათათბიროს გამგეობის სახელზე.
5. სათათბიროში გაწევრიანების მსურველ პირს ეძლევა საგამოცდო ვადა 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში, სათათბიროს გამგეობის გადაწყვეტილებით აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს/შემოკლდეს.
6. სათათბიროში გაწევრიანებულ პირს უფლებამოსილება უწყდება:
- ✓ პირადი განცხადების საფუძველზე;
- ✓ სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი არაქმედუნარიანად ცნობისას.

7. სათათბიროს წევრის უფლებამოსილების ჩამორთმევა შესაძლებელია მხოლოდ სათათბიროს წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, ღია კენჭისყრით, თუ:
- ✓ წევრის ქმედება ეწინააღმდეგება სათათბიროს მიზნებს;
- ✓ წევრი უხეშად არღვევს სათათბიროს წესდებას და შინაგანაწესს;
- ✓ წევრი არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;
- ✓ წევრი 3 (სამი) თვის განმავლობაში არ გადაიხდის გამგეობის მიერ დაწესებულ საწევრო გადასახადს;
- ✓ წევრი ზედიზედ 3 (სამ) ჯერ არ დაესწრება სათათბიროს საერთო კრებას.

8. გარიცხულ წევრს აღნიშნული გადაწყვეტილება შეუძლია გაასაჩივროს სასამართლოში.
9. სათათბიროს დამფუძნებლები და შემდგომ გაწევრიანებული პირები სარგებლობენ თანაბარი უფლება/ მოვალეობებით.
10. დაუშვებელია სათათბიროს წევრობის სხვა პირზე გადაცემა.
11. სათათბირო არ არის პასუხიმგებელი წევრთა მიერ სათათბიროსაგან დამოუკიდებლად შეძენილ ვალდებულებებზე.
12. სათათბირო უფლებამოსილია დაიცვას და წარმოადგინოს თავისი წევრების კანონიერი ინტერესები სახელმწიფო თუ კომერციულ ორგანიზაციათა და სამართალდამცავ ორგანოებთან მიმართებაში.
13. სათათბიროს ნებისმიერ წევრს ეკრძალება სათათბიროს სახელით პოლიტიკური ან სხვა სახის განცხადების გაკეთება, რომელიც ეწინააღმდეგება სათათბიროს მიზნებსა და გამგეობის გადაწყვეტილებებს. წესდების ამ პუნქტის დამრღვევი ავტომატურად ირიცხება სათათბიროდან, რაზედაც კეთდება სათანადო განცხადება.
14. სათათბიროს წევრს უფლება აქვს:
- ➢ აირჩიოს და არჩეული იყოს სათათბიროს ნებისმიერ ხელმძღვანელ ორგანოში;
- ➢ მიიღოს მონაწილეობა სათათბიროს საქმიანობაში და ნებისმიერი საკითხის განხილვაში;
- ➢ განცხადებით, კითხვით, წინადადებით მიმართოს სათათბიროს ნებისმიერ ორგანოს/თანამდებობის პირს;
- ➢ მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია სათათბიროს საქმიანობასთან დაკავშირებით;
- ➢ სათათბიროს მიზნებიდან გამომდინარე, ისარგებლოს სათათბიროს საკუთრებაში არსებული მატერიალურ/ ტექნიკური საშუალებებით;
- ➢ გავიდეს სათათბიროდან თავისი სურვილის შესაბამისად.

15. სათათბიროს წევრი ვალდებულია:
- ➢ დაიცვას სათათბიროს წესდება და შინაგანაწესი;

- მიიღოს აქტიური მონაწილეობა სათათბიროს საქმიანობაში და შეასრულოს მასზე დაკისრებული დავალებები;
- იზრუნოს სათათბიროს მიზნების, სამუშაო პროგრამის რეალურად გატარებისათვის;
- თავისი მოქმედებით ან უმოქმედობით არ მიაყენოს მატერიალური ან მორალური ზიანი სათათბიროს;
- გადაიხადოს საწევრო გადასახადი სათათბიროს გამგეობის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით.

5. სათათბიროს ორგანიზაციული სტრუქტურა

<u>წევრთა საერთო კრება</u>

1. სათათბიროს უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა წევრთა საერთო კრება, რომელიც იმართება სულ მცირე წელიწადში ერთჯერ, დეკემბრის თვეში.
2. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა სათათბიროს საერთო წევრთა 1/10-ის, გამგეობის წევრთა 2/3-ის ან/და გამგეობის თავმჯდომარის წერილობით მოთხოვნითა და დღის წესრიგის მინიშნებით.
3. წერილობითი მოთხოვნა იწერება სათათბიროს გამგეობის თავმჯდომარის სახელზე, რომელიც ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება კრების მოწვევის თარიღის და ადგილის შესახებ არაუგვიანეს განცხადების შემოტანიდან 3 (სამი) დღის ვადაში.
4. როგორც რიგითი, ასევე რიგგარეშე კრების მოწვევას უზრუნველყოფს სათათბიროს გამგეობის თავმჯდომარე.
5. განცხადება, როგორც რიგითი, ასევე რიგგარეშე კრების მოწვევის თარიღის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ, ქვეყნდება სათათბიროს საინფორმაციო ბეჭდვით ორგანოში ან/და იკვრება სათათბიროს საინფორმაციო დაფაზე ან/და პირადად ეცნობებათ სათათბიროს წევრებს კრებამდე არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) დღით ადრე.
6. საერთო კრების გადაწყვეტილება ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუ საკითხი შეტანილი იყო დღის წესრიგში.
7. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სათათბიროს წევრთა საერთო რაოდენობის 1/3-დი.
8. გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმათა უბრალო უმრავლესობით. ჯენჭისყრა კრებაზე ღიაა, სათათბიროს გამგეობის გადაწყვეტილებით დასაშვებია ფარული ჯენჭისყრაც.
9. როგორც რიგითი, ასევე რიგგარეშე კრების ჩატარებისას დგება ოქმი, რომელშიც თანმიმდევრულ ასახვას ჰპოვებს კრებაზე განხილული საკითხები და შესაბამისი გადაწყვეტილებანი. ოქმს ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე და მდივანი.
10. საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

10.1. კრებაზე დამსწრეთა 2/3-ის ხმათა უმრავლესობით:

- სათათბიროს გამგეობის წევრების არჩევა;
- გადაწყვეტილების მიღება სათათბიროდან წევრის გარიცხვის შესახებ;
- სათათბიროს პროგრამული მიმართულებების კოორდინატორების მიერ წარდგენილი წლიური სამუშაო პროგრამის ძირითადი მიმართულებების მიღება/დამტკიცება;
- სათათბიროს პროგრამული მიმართულებების კოორდინატორების, ფინანსური მენეჯერის, გამგეობის თავმჯდომარის ანგარიშების მოსმენა/დამტკიცება;

10.2. სათათბიროს საერთო წევრთა 4/5-ის ხმათა უმრავლესობით:

- სათათბიროს წესდების მიღება, მასში ცვლილებების შეტანა;
- სათათბიროს გამგეობის გადაწყვეტილებაზე ვეტოს დადების უფლება;
- გადაწყვეტილების მიღება სათათბიროს მიზნების შეცვლის, ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ.

11. სათათბიროს ყველა წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. წევრებს, რომლებიც ვერ ესწრებიან საერთო კრებას, შეუძლიათ წერილობით მიიღონ მონაწილეობა ჯენჭისყრაში. ისინი უთანაბრდებიან კრებაზე დამსწრეებს.
12. ფილიალები კრებაზე წარმოდგენილი არიან თავისი ხელმძღვანელებით, რომელთაც გააჩნიათ თითო ხმის უფლება.

<u>გამგეობა</u>

13. წევრთა საერთო კრებებს შორის სათათბიროს ხელმძღვანელი ორგანოა გამგეობა.
14. გამგეობის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება სამი წევრით, რომლებსაც ირჩევს სათათბიროს საერთო კრება, ფარული ჯენჭისყრით, წევრთა საერთო სიის მიხედვით. სათათბიროს თითოეულ წევრს აქვს იმდენი ხმის უფლება, რამდენი წევრიცაა ასარჩევი.
15. გამგეობის შემადგენლობაში ავტომატურად შედიან ფილიალების ხელმძღვანელები.

16. გამგეობის წევრები აირჩევიან 24 (ოცდაოთხი) თვის ვადით, ისინი შეიძლება ხელმეორედ იქნენ არჩეული.

17. გამგეობის ჯრება იმართება ყოველი თვის პირველ ორშაბათ დღეს. რიგგარეშე ჯრება მოიწვევა სათათბიროს საერთო წევრთა 2/3-ის, გამგეობის წევრთა 2/3-ის ან/და გამგეობის თავმჯდომარის ინიციატივით.
18. როგორც რიგითი, ასევე რიგგარეშე ჯრების მოწვევას უზრუნველყოფს სათათბიროს გამგეობის თავმჯდომარე. გამგეობის წევრებს ჯრების ჩატარების თარიღისა და ადგილის შესახებ პირადად ეცნობებათ ჯრებამდე არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღისა, ხოლო რიგგარეშე ჯრების მოწვევისას დაუყონებლივ.
19. გამგეობის ჯრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება გამგეობის საერთო წევრთა რაოდენობის 2/3-დი. გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმათა უბრალო უმრავლესობით, ჯენჭისყრა ჯრებაზე ღიაა.
20. როგორც რიგითი, ასევე რიგგარეშე ჯრების ჩატარებისას დგება ოქმი, რომელშიც თანმიმდევრულ ასახვას ჰპოვებს ჯრებაზე განხილული საკითხები და შესაბამისი გადაწყვეტილებანი. ოქმს ხელს აწერენ ჯრების თავჯდომარე და მდივანი.
21. გამგეობის ჯრების კომპეტენციას განეკუთვნება:
- სათათბიროში წევრად მიღება;
- სათათბიროს სამუშაო პროგრამების, პროექტების მიღება/დამტკიცება;
- საწესდებო მიზნების განსახორციელებლად პროგრამული მიმართულებების განსაზღვრა;
- სათათბიროს თანამდებობის პირებისა და მომსახურე პერსონალის საშტატო ერთეულებისა და მათ
განაკვეთების განსაღვრა/დამტკიცება;
- სათათბიროს თანამშრომლების შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადება, მისი ჩატარების წესის/პირობების განსაზღვრა;
- საკონკურსო წესით შერჩეული სათათბიროს თანამდებობის პირებისა და მომსახურე პერსონალის დანიშვნა/ განთავისუფლება;
- გადაწყვეტილების მიღება სათათბიროს ფილიალების დაფუძნების შესახებ;
- სათათბიროს საწარმოების დაფუძნება, ხელმძღვანელი პირების დანიშვნა;
- პერიოდული საინფორმაციო ბეჭდვითი ორგანოს რედაქტორის დანიშვნა;
- გადაწყვეტილების მიღება სხვადასხვა სახის ბეჭდვითი ლიტერატურის გამოშვების თაობაზე;
- გამგეობის თავმჯდომარის მიერ წარდგენილი, სათათბიროს წლიური ბიუჯეტისა და ბალანსის მიღება/ დამტკიცება;
- სათათბიროში საწევრო გადასახადების ოდენობისა და პერიოდულობის მიღება;
- შინაგანაწესის შემუშავება/დამტკიცება, მასში ცვლილებების შეტანა;
- საჯარიმო სანქციების მიღება/გაუქმება.
22. გამგეობის კომპეტენციაში აგრეთვე შედის ადმინისტრაციული საკითხებისა და ისეთი საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც არ საჭიროებენ საერთო ჯრების მოწვევას.
23. გამგეობის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში გამგეობის თავმჯდომარის მიერ 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში მოიწვევა სათათბიროს წევრთა რიგგარეშე საერთო ჯრება, სადაც მოხდება გამგეობის გამოკლებული წევრის ნაცვლად ახალი წევრის არჩევა საერთო წესით.
<u>გამგეობის თავმჯდომარე</u>
24. სათათბიროს გამგეობის თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან ირჩევს გამგეობის ჯრება 24 თვის ვადით, ის შეიძლება ხელმეორედ იქნას არჩეული.
25. გამგეობის თავმჯდომარის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს გამგეობის ნებისმიერ წევრს.
26. გამგეობის თავმჯდომარე:
- წარმოადგენს სათათბიროს ყველა დონეზე;
- თავმჯდომარეობს გამგეობისა და საერთო ჯრებებს;
- სათათბიროს სახელით დებს ხელშეკრულებებს, გარიგებებს, მემორანდუმებს, კონტრაქტებს. ხელს აწერს სხვადასხვა სახის დოკუმენტებს;
- განკარგავს სათათბიროს ფულად სახსრებსა და მატერიალურ საშუალებებს, პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე.
- ასრულებს წესდებით/შინაგანაწესით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.
27. გამგეობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში 3 (სამი) დღის ვადაში მოიწვევა გამგეობის რიგგარეშე ჯრება სადაც მოხდება ახალი თავმჯდომარის არჩევა. ჯრების მოწვევას უზრუნველყოფენ გამგეობის წევრები.
28. გამგეობის წევრის ან/და გამგეობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მათ მიერ წესდებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან

სათათბიროს მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია მხოლოდ გამგეობის ერებას საერთო წევრთა 2/3-ის ხმათა უმრავლესობით. თუ გამგეობის წევრი წარმოდგენილი იყო სათათბიროს ფილიალით, მისი უფლებამოსილების ვადამდე ადრე წეწყვეტა შეუძლია წარმდგენი ფილიალის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს.

<u>სათათბიროს ფილიალები</u>

29. ფილიალის დაფუძნების აუცილებელი პირობებია მინიმუმ 5 (ხუთ) ეაციანი საინიციატივო ჯგუფის არსებობა, რომელთაც გააჩნიათ სურვილი გახდნენ ორგანიზაციის ფილიალი.

30. საინიციატივო ჯგუფი ვალდებულია განცხადებით დაფუძნების თაობაზე მიმართოს სათათბიროს გამგეობას, განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ საინიციატივო ჯგუფის წევრები გაეცვნენ და იზიარებენ სათათბიროს წესდებას, მიზნებსა და ამოცანებებს. განცხადებაში უნდა იყოს მითითებული ფილიალის ხელმძვანელი პირის ეანდიდატურა.

31. სათათბიროს გამგეობა იღებს გადაწყვეტილებას ფილიალის დაფუძნების შესახებ არაუგვიანეს განცხადების შემოტანიდან ერთი თვის ვადაში.

32. ფილიალის სახელწოდებაში უნდა ჭღერდეს „სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბიროს (ადგილმდებარეობა) ფილიალი".

33. სათანადო რეგისტრაციის მომენტიდან ფილიალი წარმოადგენს დამოუეიდებელ იურიდიულ პირს, ყველა საჭირო ატრიბუტიეით.

34. ფილიალები სარგებლობენ ფართო უფლებებით, მათ აქვთ უფლება დამოუეიდებლად განახორციელონ წინამდებარე წესდების მე-3 მუხლით „სათათბიროს საქმიანობის ფორმა" გათვალისწინებული საქმიანობები.

35. ფილიალს შეუძლია მიიღოს თავისი წესდება და შინაგანაწესი, ჰქონდეს წინამდებარე წესდებიდან განსხვავებული ორგანიზაციული სტრუქტურა, მაგრამ მას არ შეუძლია დამოუეიდებლად გამოცვალოს წინამდებარე წესდებით განსაღვრული შემდეგი პუნქტები: 2. სათათბიროს მიზნები; 3. სათათბიროს საქმიანობის ფორმა; 4. სათათბიროს წევრობა. წევრთა უფლება/მოვალეობები.

6. სათათბიროს ქონება

1. სათათბიროს ქონება იქმნება:

- საწევრო შენატანების, სათათბიროს წევრთა და სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა შემოწირულობებისაგან;
- სათათბიროს საწარმოო/სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავლებისაგან;
- სხვა კანონიერი შემოსავლებისაგან.

2. სათათბიროს შემოსავლები არ ნაწილდება სათათბიროს წევრთა შორის და გამოიყენება მხოლოდ საწესდებო ამოცანების შესასრულებლად.

3. გამონაკლის შემთხვევებში, გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე, კონკრეტული სამუშაოს შესრულება სათათბიროს წევრს შეიძლება აუნაზღაურდეს ჰონორარით.

4. სათათბიროს შეუძლია საკუთრებაში იქონიოს შენობა/ნაგებობანი, საცხოვრებელი ფონდი, მოწყობილობა და ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებანი, ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები და სხვა ქონება, რომელიც საჭიროა სათათბიროს წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად.

5. ფულადი სახსრების ხარჯვა ხორციელდება როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით.

7. სათათბიროს საქმიანობის შეწყვეტა

1. სათათბიროს ლიკვიდაცია ხდება:

- სათათბიროს საერთო ერების გადაწყვეტილებით;
- სასამართლოს გადაწყვეტილებით;
- კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2. ლიკვიდაციას კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სათათბიროს გამგეობა.

3. ლიკვიდაციის შემდგომ დარჩენილი ქონება ნაწილდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.